

ორმოში ჩაგდებული მეფე

ორნი მეფენი შეიბნენ. ერთმან მეფემან მეორესა სძლო, შეიპყრა და ორმოში ჩააგდო.

გამოხდა ხანი. მოვიდა ერთი მეცნიერი კაცი და ენება აღმოყვანება და გაპარება მისი. ჩასძახა ორმოსა შიგან და უთხრა: კარგად არა ვიქმ, რომ გაგაპარო!

მან მეფემან მაღლი უბრძანა.

თოკით ამოზიდნა და ამოიყვანა.

კიდევ უთხრა: კარგად არა ვქმენ, რომ ამოგიყვანე!

მეფემან კიდევ მაღლი უბრძანა.

მესამედ კიდევ უთხრა: კარგადა ვქმენ!

ეწყინა მეფესა და დაიძახა: ვინა ხართ, ამ კაცმან გამაპარაო!

მოვიდნენ მცველნი, შეიპყრნეს ორნივე.

ჰკითხეს მეფესა: რად გაამჟღავნე და რად არ გაიპარე!

მან თქვა: ვირემ ამომიყვანდა, საყვედურით ამავესო, თუ შინ მიმეწია, კიდევ დამარჩობდა, აქავ ყოფნა ვირჩივეო.

- აწე კარგი საქმე ასე უნდა ქმნას, ან ღმერთმან დაუმაღლოს, და ან კაცმან მოუწონოს.

უბრძანა მეფემან:

- მომწონან ეგრე შენი სიკეთე. რად იცი ესოდენი მარტვილმანო!

მოახსენა ჯუმბერ:

- ყოველივე ღვთისაგან არს და მას გარდა სამის საქმით მჭირიან.

პირველად: კარგის ნერგის ხილი ვარ, მეორედ: ხელოვანის მეზადის შეწვრთილა, მესამედ: ფრთხილის შემნახავის ბარებული.

უბრძანა მეფემან:

- ეგენი ვინ არიან!

შვილმან მოახსენა:

- ნერგი - თქვენა, რომელმან მშევით: მეზადე - სედრაქ ვაზირი, რომელმან აღმზარდა, და შემნახავი - ლეონ, რომელი მასწავლის.

წარმოდგა რუქა და უთხრა ჯუმბერს:

- ორი ეგე მართალი სთქვი და მესამე იმტყუვნე.

ჰკითხა ჯუმბერ

რომელი!

უთხრა რუქამ:

- ნერგი და მეზადე - მართალია და კარგი: მზარებელი ავი და ტყუვილი.

უთხრა ჯუმბერ:

- თუცა მე სამში ერთი ტყუილი ვთქვი, შენ სამში ორი მართალი გჭირს: მამაცობაში - დიაცურობა და დიაცობაში დ ვერც მართლა დიაცურობა.

უთხრა რუქამ:

- ლეონს უწვრთნია ეგე შენთვის.

თქვა რუქამ არაკი: